

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, პრეტე ჩაიგვშტოვის სახ-
ლებში.

ხელის მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ
редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., და ნახევარ წელიწადში —
4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
სალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და უცხო-
ცუხულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით,
სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ.
პეტითი — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით



იბეჭდება და მომავალ კვირაში გამოვა
დროების პატარა

კალენდარი

ზამთრის თანავე საქართველოს
ყველა მაზრებში გაიგზავნება გასას-
ყიდლად.

ფასი ყველგან ორი შაური

რედაქციაში (ველიამინოვის ქუ-
ჩაზე, ჩაიგვშტოვის სახლებში) მიიღება
ხელის მოწერა მომავალი წლის

„დროებაზე“

ფასი მთელი წლის გაზ. 8 მან.
ნახევარი წლისა — 4 მან. და 50 კ.
სამის თვისა — 2 მან. და 50 კ.
ერთის თვისა — 1 მან. „ „ „

პირველი ნომერიდან წლის დამ-
ლევაში გაზეთის დაბრუნება ორ მა-
ნეთად ელირება.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემ-
დგვის აღრესით უნდა დაიბარონ გა-
ზეთი: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію
газеты „Дროба.“

ჩვენს აგენტებს წლებიდან და
შარშანდელი ფულების გამოგზავნის
თხოვნას ვუპყრობთ.

ფალტონი

მგზავრის შენიშვნები *)

II

ზავსწვევით ჩვენი ბაასი და მზე-
მაც კარგა გადინარა. მუშებს ახლად
სამხარი ეჭვით, რადგან მოისმონ
გახურებული „პოპულის“ ხმა და ამი-
თი ეტყობოდა, რომ ახლად იყენენ
შეხურებულს ღვინოთ. გამოვეთ-
ხოვე მობასებს და სალამო ჟამზედ
მივედი ს. სხინვალს.

სხინვალზედ ის საყინულე, რო-
მლის ნახვა მე გულით მსურდა, არის
ასე სამის ვერსის სიშორეზედ. ჩემი
მისელის მეორე დღეს შემხვდა ერ-
თი ჩემი ნაცნობი და ის წამომაყა.

სხინვალზედ ერთი ვერსის სი-
შორეზედ ვაკეთ საველია: მერზე
შეუდგება კაცი მშვენიერად აყვავე-
ბულ გორაკებს; აქა-იქ გამოჩნჩხა-
რებენ წყაროები, რომლებსაც, გაუ-
ვლით რა ახლავს, გცემთ სახეში სი-
გრისეს. საყინულეს მახლობლივ
არის სოფელი საბა-წმინდა. ეს სახე-
ლი აქვს სოფელს მიღებული ეპი-
ლესილიდან, რომელიც წმინდა მამა
საბბას სახელზედ არის ნაშენი.

*) „დროება“ № 132.

განცხადება

„დროების“ რედაქცია, ერთი ქარ-
თული ლიტერატურის მოყვარე პი-
რის მონდობილობით, აცხადებს, რომ
ინც რედაქციაში წარმოადგენს, ან
სამუდამოთ ან მხოლოდ გადასაწე-
რად, ქართულ პოემას, სახელად
„სამანე გმირთა“
იმწამსვე ათს თუშანს მიიღებს
ჯილდოთ.

სხენებული პოემა, როგორც გა-
გიგონია, ერთს ვილაც ბერს დაუ-
წერია, ეგონებთ წარსულ საუკუნეში.
იმაში აწერილია ლექსით ქართველი
გმირების ცხოვრება და მოღვაწეობა.
ამ 30-40 წლის წინათ, უფ. პლა-
ტონ იოსელიანსა და თ. ბიორგი
მრისთავს უნახავთ ის სადღაც და წაუ-
კითხავთ.

ამ მოკლე ხანში დაიწყება ბეჭ-
დვა პეტროვის თხზულებათა.
მაგრამ დაბეჭდავთ, საუბედუროდ,
ყველა ამის თხზულებანი ვერ ჩაუ-
გდიათ ხელში; სხვათა შორის, იმათ
აკლიათ კომედიები:

- 1) „მეთრი დათვი ფაშისა“
- 2) „ქმარი ცოლის მაყარი“
- 3) „პატრი ზარაფი“
- 4) „ჯერ მოკვდნენ და მერე და-
ქორწილდნენ და

ორიოდე სიტყვა ამ ეკლესიას. და-
მ ლა გორაზედ, წამოწდნენილი
მთის ძირში არის რამდენიმე კომლი
მცხოვრები. ამათ ზემოთ ორმოც
ხაბიჯზედ არის აღმართული მშვენი-
ერად და გასაოცარის ხელოვნებით
ნაშენი ეკლესია. ძარგა მორდილია.

ნაშენი არის სუფთად, გალიპებულად
გათლილი კლდით; წითელია, თით-
ქოს საგამებოთ ენდროში შეუდგე-
ბიათო. ზემო არშია ეკლესიისა გარ-
შემო მშვენიერის ქუქურთმით არის
მორთული. ეკლესიას დასაველეთის
მხრივ აქვს ამავე კლდისა ზედ მიდ-
გმული სტოვა (პრიტვარი). ეკლესი-
სია დასაველეთის და აღმოსავლეთის
მხრივ სრულიად დარღვეულია: კედ-
ლები ჩამოქცეულია. შიგნიდანაც
მცა სრულიად შუაა გარღვეული,
რომლის შეხედვაც კაცს შეზარავს.
ტრაპეზში შესასვლელად ერთი აღ-
სავლის (შუა) კარის მეტი არა აქვს,
რომელსაც აქეთიქით უდგან არ-
შინ ნახევრანი ლაქვარდი ქვისაგან
გათლილ-გაშალაშინებული და გა-
მოჭრილი ბოძები, რომლებიც სხვა
და სხვა ფერად ამოჩუქურთმებულ-
ნი არიან. ძედლებზედ ნახშირით და
კარანდაშითაც დაწერილებია სხვა და
სხვა გვარები მნახებებისა. სხვათა შო-
რის, ფრანციკული და ნემენცური

ბ) „ახ, მართალ-გამკითხავო, შენ
მიბატრონე!“

დაბეჭდავნი უმორჩილესად სთხო-
ვენ იმ პირთ, რომელთაც აქვთ ხე-
ნებული თხზულებანი, წარმოადგი-
ნონ „დროების“ რედაქციაში, რომ-
ლიდამაც, თუ მოითხოვენ, ხელნაწერს
დაბეჭდვის შემდეგ უკანვე მიიღებენ.

საქართველო

ახალციხის ქველმოქმედი საზოგადოება

ამ სტატიის ქვემოთ მკითხველი
ნახავს ახალციხის ქველმოქმედი
საზოგადოების წესდებას, რომელიც
მის იმპერატორებით შმალღესობას
ქაეკასიის ნამესტნიკს ამ წლის 28
მარტს დაუმტკიცებია.

„ქაეკასში“ დაბეჭდილის ანგარი-
შიდამ ეტყობოლობთ, რომ გახსნი-
სა თანავე საზოგადოებას მიუღია თა-
ვის მხედველობაში ახალციხის საქა-
ლებო უფასო შკოლა. ამასთანავე
ეტყობოლობთ, რომ საზოგადოებას
თითქმის იმდენი შემოსავალი აქვს
ამ ჟამად მარტო მწვერთაგან, რომ
შკოლის ნახევარ ხარჯს აუვა. შკო-
ლას ეჭირება წელიწადში 1,100 მა-
ნეთი; მწვერთაგან წლიური შემო-

სავალი არის 565 მანეთი. ამას გარ-
და შკოლას აქვს თითქმის ყველა-
ფერი, რაც ამ გვარი შკოლისათვის
საჭიროა, და 885 მან. და 80 კაპ.
ფული.

რამდენათაც ჩვენ გაგვიგია, რო-
გორც ხსენებული საქალებო უფა-
სო შკოლისა აგრეთვე ამ საზოგა-
დოების დაარსება ახალციხეში ერ-
თის პირის — ანა ბესარიონის ასულის
მუსხელოვის — თაონობით მოხდა.
ამან ითავა პირველად შკოლის სა-
ქმე; ამის მეცადინეობით შესდგა და
დამტკიცდა თვით ეს საზოგადოებაც.

მაგალითი იმ პირებისათვის, რომ-
მელნიც მუდამ სჩივიან, რომ ჩვენში
ერთ პირს არაფრის გაკეთება არ შე-
უძლიანო, ისეთი უმეცარი და დაუ-
დევნელი ხალხი ვართო, რომ რაც
უნდა კეთილი რამ გინდოდეს, არ
დაგიჯერებენო! მაგალითი იმ პირე-
ბისთვის, რომელთაც ხელები გულ-
ზე დაეკრებიან და გაიძახიან: „მართა
რა ჰქნას, როდესაც ყველა დანარჩე-
ნი იმის მოწინააღმდეგენი არიანო!“

ეს მაგალითი კარგათ გიმტკიცებთ,
რომ ვისაც ჰსურს რისიმე გაკეთე-
ბა, კიდევ შეუძლიან; ვისაც თავი-
ანობა, ნამდვილი სურვილი და ენერ-
გია აქვს, ადვილად მოახერხებს, ყვე-


ხელითაც არიან წარწერილები. მტ-
ყობა ამ შესანიშნავ ძველ ტაძარს
მნახებები არა ჰკლებია.

შენობა არის ძრიელ ძველი. შემ-
დგვი გარემოება მაგონებს, რომ ეს
ტაძარი ეკუთვნის ძიელ ძველ დრო-
ებს: ეკლესია არის დახატული სქე-
ლი კრამტივით გათლილი კლდითა.
რაც კი ჟამთა ვითარებას შეუზრჩე-
ნია — ისრეა შედუღული ერთმანეთ-
ზედ, რომ ერთი გათლილი ქვა გვეგო-
ნება. ჩრდილოეთის მხრივ ზედ ეკ-
ლესიასზედ არის ამოსული უშვე-
ლებელი ბლის ხე. ეს ბალი, რო-
გორც ეტყობა, კიდევ დაბერებულა.
შუინ ისრეთი გაჭირვებული და შე-
წუხებული იყო ჩვენი ხალხი, რომ
დიდათ არ შეიწუხებდა თავს და ამას-
თან არც სცალოდა, რომ ეკლესიის
ბანზედ ბალი დაერგო. მაშასადამე,
ეს არის ამოსული კურკით, რადგან
გარშემო უდგია მაღალი ბლის ხე-
ბი. მოგვხსენებთ, კურკით ბალი
გვიან იზდებ, რადგან ის მაგარია და
მწუა გვიან იმოქმედებს. რამდენი ხა-
ნი უნდა გამოსულიყო, რომ ამ უნა-
ყოფო ადგილზედ-ბანზედ, სადაც მი-
წა საქმაოდ არ არის, ბალი ამოსუ-
ლიყო, გაედგა ამ სისხო ფესვები და
დაბერებულყო! რასაკვირველია, რომ
დიდი ხანი გავიდოდა.

ამ შენობის სიმშვენიერესთან ეკ-
ლესიას არ აკლია ბუნების სიმშვე-
ნიერეც. შინ ვაკე ადგილი, შემო-
სილი მწვანე ბალანით, ვერდზედ
ცივი წყარო და გარშემო თეთრი
ეკალა მცენარე, რომელიც დატვირ-
თული იყო ნაყოფებით. საკვირვე-
ლია — და რა არ არის საკვირველი
ამ ჩვენ ცხოვრებაში — აქვე მდგომი
ქართველები ამ მცენარეს არ აშე-
ნებენ, თავისთინ არ იჩენენ, ან და
ეკლესიასთან აღმომცენარებულებს
არ უვლიან, რომ უფრო მსხვილი
ნაყოფი მოიტანოს.

III

საბა-წმინდიდან ჩემმა მგზავრმა
მიმიყვანა „მონასტრში“, რომელიც
საყინულეზედ ახლოა. მიწიდან, თი-
თქოს ხე ამოსულაო, არის ამომარ-
თული რამდენიმე საყინის სიმღლე-
ზედ წითელი კლდე. ამ კლდეს თა-
ვი მეიდანით რვეალი აქვს, რომე-
ლიც მიდგმული აქვს მთიდგან წა-
მოწდნენილ ქედთან. ძედის თავზედ
და ქედზედ აშენებულია კოშკი, რომ-
მელშიაც ვარდის მცენარეები სდგას
(როგორც ხერვლიდგან გავარჩიეთ).
ეს კლდე სამ ეტყათ არის გაყო-
ფილი. ქვეით არის ბოსელი, კლდის
ახურებით; შუა ეტაჟში არის ორი
ოთახი. პირველი ოთახი არის აუზი



ლა კეთილ საქმეში თანამოაზრებ-
სა და თანამგრძობობებს მონახავს.

რასაკვირველია, სხვაგან სადმე ამ-
გვარი კეთილი საქმე რომლისამე
კერძობისა თითქმის შეუნიშნავად
ჩაივლიდა; ამ გვარ საქმეებს იქ მი-
ჩვეულნი არიან.

მაგრამ ჩვენში სულ სხვაა: ისე
იშვიათად მოგვიხდება ხოლო ამ გვა-
რი შემთხვევების დანახვა, რომ რო-
ცა ერთს სადმე შევანხნეთ, ზეცისა-
კენ ვაშვერთ ხელებსა და ალტაცე-
ბით ვიწებთ ლაპარაკს. რას იქნა?
სამაგალითო, კეთილი საქმეებით ღა-
რიბმა ჩვენმა საზოგადო ცხოვრებამ
ეს მოიტანა!..

ს. მესხი

**წესდება ახალციხის
ქველ-მოამბელი საზოგადოებისა**

1) ახალციხის ქველ-მოამბელი
საზოგადოება არსდება იმ ჰაზრით,
რომ ახალციხის ქალებში გაავრცე-
ლოს განათლება, სარწმუნოებისა და
შთამომავლობის გაურჩევლად.

2) საზოგადოებას შეადგენენ ნამ-
დვილნი მწვერნი და მწვერნი თანა-
მგრძობელნი; ამას გარდა შეიძლება
იყვნენ: მწვერნი მზრუნველნი, ქვე-
ლის-მოამბელი და საპატია მზრუნ-
ველნი.

3) ნამდვილ მწვერს შეაქვს საზო-
გადოების კასსაში ყოველ წელიწადს
ერთი თუმანი ან ერთხელ და
სამუდამოთ ათი თუმანი, მწვერს-
თანამგრძობელს—5 მან., ან ერთ-
ხელ და სამუდამოთ ხუთი თუ-
მანი და საპატია მზრუნველს—წე-

ლიწადში ხუთი თუმანი. ან სამუდამ-
ოთ ორმოცდა ხუთი თუ-
მანი.

4) მწვერი-მზრუნველი ჰქვია იმ
მწვერთა, რომელნიც თავის ვაგლე-
ნით შკოლის კეთილდღეობისა და
წარმატებისათვის ზრუნავენ.

5) მწვერი—ქველის-მოამბელი კი
იმ პირთ ჰქვია, რომელნიც თავის
შრომით იღებენ შკოლაში რომელ-
სამე მონაწილეობას.

6) საზოგადოების საშუალებას შე-
ადგენს: ა) ქ. ახალციხის ყოველ
წლიური შეაწირავი—300 მანეთი, ბ)
მწვერთა შემოსატანი ფული, გ) ერთ
ხნობით შეწირული ფული გარეშე
პირთაგან და დ) სპექტაკლების, კონ-
ცერტების, სალიტერატურო სალა-
მოებისა და სხვა კანონით ნებაყოფ-
ლი საშუალებით მოკრეფილი ფული.

7) საზოგადოების საქმეებს განა-
გებენ: გამგებელი კომიტეტი და
კრება ნამდვილთ მწვერთა.

8) გამგებელი კომიტეტი შესდგე-
ბა თავსმჯდომარისაგან და ოთხ მწვე-
რთაგან, რომელნიც სამი წლით
აირჩევიან. შოველ წელიწადს კამი-
ტეტიდამ გამოდის ერთი მწვერი—
ჯერ წილის ყრით და მერე, ვინც
უფრო აღრეა არჩეული; გამოსული
მწვერი შეიძლება ხელმოკრეთ აირ-
ჩიონ. ამას გარდა კამიტეტის მწვე-
რებად ირიცხებიან: უეზდის უფრო-
სი, ქალაქის ერთი დეპუტატთაგანი,
საპატია მზრუნველნი და შკოლის
გამგებელი.

9) გამგებელი კომიტეტის საქმე
არის: ა) შოველ წლიური შემოსავალ-
გასავლის ანგარიშის შედგენა, ბ)
წლიური ანგარიშის შედგენა საზო-

გადოების მოქმედებისა, გ) ზრუნვა
საზოგადოების ღონისძიების შემატე-
ბაზე, დ) ზედამხედველობა შემოსა-
ვალ-გასავალზე და ე) შკოლის
შინაგანი წყობილობისთვის წესდების
შედგენა.

10) საზოგადო კრების მოვალე-
ობა არის: (ეს კრება ყოველ წელი-
წადში ერთხელ შეიკრიბება;) ა) წლი-
ურ შემოსავალ-გასავლის განხილვა
და დამტკიცება, ბ) წლიური ანგა-
რიშის განხილვა, გ) ამორჩევა თავს-
მჯდომარისა, გამგებელი კომიტეტის
მწვერთა, მდივნისა(სეკრეტრისა) რო-
მელიც იმავე დროს ხაზინდარიც
არის, და შკოლის გამგებლისა.

11) შოველ არჩეულ პირზე ამო-
ირჩევა აგრეთვე თითო კანდიდატი
(მოადგილე).

12) საზოგადოებას თავის საკუ-
თარი ბეჭედი აქვს.

13) ამ ჯგრობით საზოგადოება
ხსნის პირველ-დაწყებით ერთ კლა-
სიან შკოლას, რომელშიაც სწავლა
ხუთ წელს გაგრძელდება.

14) შკოლაში ასწავლიან: ა) სამ-
ღეთო წერილს, ბ) რუსულ ენას, გ)
ქართულ ენას, დ) სომხურ ენას, ე)
არითმეტიკას, ვ) ხაზვასა და ელე-
მენტალურ გეომეტრიას, ზ) სამშო-
ბლოს ცნობას, ი) გალობას, თ)
ხელსაქნარსა და ი) გიმნასტიკას.

15) დაახლოებითი ზედამხედვე-
ლობა შკოლისა მიენდობა შკოლის
თავსმჯდომარეს, რომელსაც ამ საქ-
მეში შკოლის გამგებელი ეხმა-
რება.

16) შკოლის დამოკიდებულება
სამასწავლებლო მთავრობასთან ემო-

რჩილება ამ საგნის თაობაზე საზო-
გადო წესდებულებებს.

დღიური

ქალაქის საავათყოფოს უჩივიან:
ამას წინათ „მფილისის მოამბეში“
იყო გამოცხადებული, რომ ვილაც
ერთ ხელ ნაღობზე აფიცრს, რომე-
ლიც ამ საავათყოფოში მიეყვანათ,
დიდი წვალეა დასჭირდა, სანამ
ვინმე მიეშველაო. ახლა ჩვენც ერ-
თი მღველი გვეწერს, რომ ძლიერ
შეწუხებული მიმიყვანეს ამ დღეებ-
ში საავათყოფოში და დიდის ხნის
მოცდის შემდეგ, როგორც იყო, დე-
ჟურნის ექიმის ხილვას ველირსო,
მაგრამ რა გამოვიდა: რალაც მიხეზე-
ბი მომინახა და არ მიმილოცო.

ზანსაკუთრებით ახლა, როდესაც
ზამთარი და ცუდი ტაროსი დადგა
ჩვენს ქალაქში და მაშასადამე ავათ-
ყოფების რიცხვი გამრავლდება, უ-
რიგო არ იქნება, რომ ამ საზოგა-
დო ჩივილს ჯგროვანი ყურადღება
მიექციონ.

**

სომხური გაზეთი „მელუ პიასტა-
ნი“ გვაცნობებს, რომ ზორში ქა-
ლაქის ახალი გამგეობის მოთავედ
უფ. იაკობ მლიმირზოვი არის და-
ნიშნული და ახალციხეს უფ. მ.
ხითაროვი.

*

ამავე გაზეთის სიტყვით, ამ დღე-
ებში შოთი-მფილისის რკინის გზის,
სავაჭრო საქონლის ვაგონი, სურამის
ქედზე რელსებიდამ გადასულა და
ხრამში გადავარდნილა. მინ დამარ-

ერთის სოროდგან ორი სულ თეთრი
ყინული ამოვამტერიეთ.

რამოდენი ბუნების სიმდიდრე, ბუ-
ნების სიუხვეა ამ პაწაწა საქართვე-
ლოში: სხვა და სხვა ნაირი მინერა-
ლური წყლები, მანგულელები, ძვე-
ლი ნაშენობები და სხ. და სხ. შეა-
ღარეთ, მკითხველო, ეს სიუხვე ჩვე-
ნის ბუნებისა ჩვენს ცხოვრებას: რა
საშინელი სიღარიბეა ჩვენში, სიღა-
რიბე ორ ნაირი; მატერიალური და
გონებითი. მისაც შეუძლიან რამე,
რა გვარად, ფთხილად, მაღავს თა-
ვის შეძლებას, თუ გინდ გონებითს,
თუ გინდ მატერიალურს, რა გვარად
მიყრუებულნი არიან!

ჩვენგან გაუცნობელნი არიან ეს
ამოდენი შესანიშნავი ადგილები. ბა-
დამთიელები მოდიან პირ-და-პირ ჩვე-
ნი ბუნების გასაცნობად, და ვინც
ვერ მოდიან, ნატრობენ ნახვას. ჩვენ
კი, ჩვენ კი ჩვენი სამშობლოს სიმ-
შენიერეს, ჩვენ სიმდიდრეს გულ-
გრილად უცქერით და ვერც კი ვი-
ცნობთ ჩვენ მშობელს. რად ხდება
ესრედ? ჩვენი უხვირობისაგან.

მგზავრი ძახი

და შიგ გარედგან წყალი გადმოდის;
მეორე ოთახში არის ფურნე. ამ ო-
თახიდან მესამე ეტაჟში ახერტი-
ლია კლდე ისე ვიწროთ, რომ თუ
პატარა ზორბა კაცი შეხვდა, ძნელად
აძვრება. ასევე შეიძლება მოძრავი
ხის კობით, რომელიც თან აიტანება.
სახურავად ამ ხერხებს აქვს სქელი
მუხის ბადიმი, რომელიც სქელი მუ-
ხისავე ურდულებით იკეტება. ეს
ზემო ეტაჟა წარმოადგენთ დიდ
ზალას, რომელსაც შუაში კლდის
სვეტი უდგია. აქ ბუხარია და კლდე-
ში გამოჭრილი ტანტი მისივე მუთა-
ქით. აქვე კუნძულში არის პატარა
სამწირველო, რომელშიაც ოთხი
კაცი გაიმართება. ჩემმა წინამძღვარ-
მა შემიყვანა ტრაპეზში და მოწიწე-
ბით მიმიყვანა სარკიან ყუთთან.—
„მე ყუთში, მითხრა იმან, არის ნა-
წილი წმინდა მოლოზნისა.“ ახლად,
შიგ სდევს მარჯვენა ფეხი; კოჭშია
მოჭრილი, მარტო წინა თათია შეუ-
შლელად, ხორკით უქუსლოდ. ხო-
რცი ზედ არის შემწვარი. როგორც
ლორი ისრე გამოსულა განსვენე-
ბულის მოლოზნის ფეხი. ზემო პი-
რი თათისა, სირბილეში ამოგლეჯი-
ლია. ჩემმა წინამძღვარმა მითხრა
ამაზე: „მართ ვილაც თავადის ცოლს
წავლო ეს ფეხი და ამოველიჯაო,

რომ შემწვდ მყვანდესო, მაგრამ გა-
ურისხდაო ფეხი და უკანვე მოიტა-
ნაო.“ და სჯერათ ეს....

დღემდინ, ვისაც კი შეხედებით,
და მოაგონებთ ამ ფეხს კრძალით
ახსენებენ.—ამტენი ხანი როგორ
გასძლებდაო, თუ სასწაულო-მოქმე-
დი არ ყოფილიყოო.

საყინულე აქედგან რამდენიმე ოც
ნაბიჯზედაა.

წარმოადგინეთ კარგად მაღალი
წვერიანი მთა. ამ მთის წვერიდან
მოკიდებული ძირამდინ წამოყრილია
სხელი, დაოთხკუთხული, სიბე კლდე.
მანამ არ დაუკვირდება მნახავი, არ
დარწმუნდება თუ ეს კლდე არ არის
რომელიმე ძველი, ისტორიული, რა-
მე ნაშენობისა, რომელიც დროთა
ბრუნის გამო გაოხრებულია და დარ-
ღვეულა; მარამ სრულებითაც არა.
ეს არის ისრე ბუნებითად. მთა თი-
თონ კლდინია. შეიძლება ეს ესთ-
ქვათ: დიდი ნიაღვრების გამო გად-
მოფხეკილა მიწიანი ზურგი მთისა და
კლდე ჩამოუხილნია.

მთის ძირში სქლად არის, ვაკე
ადგილზედ, წამოყრილი კლდეები,
რომელნიც ერთი ერთმანეთზედ არი-
ან შხორავებულნი და ერთმანეთ-
ზედ წახურვილნი, რისგამოც კლდე-
ებში ზანებია დარჩენილი სოროე-

ბიეთ. ძლდის სოროები, ზოგ-ზოგი
კარგა ვრცელდება ასე, რომ ორი
კაცი ჩეტივა შიგ. ამ სოროებში
მუდამ სინოტივეა, მუდამ სწვეთამს
კლდეებში ზეთივით.

ზ-ფხულში, როდესაც მზე საშუ-
აღლოზე სდგას, როდესაც საშინელი
სიცხეა და პირ-და-პირ დადგება ამ
სოროებს, მაშინ ჩამოწვება სორო-
ში, კლდის ძირებში სიპი ქვასავით
ყინული—ისეთი კამკამი, როგორც
ბროლი, სუფთა და უენებო. წაშო-
რებით სჯობიან ზამთარში მდინარე-
ებში ამოჭრილს და შენინისგის ქარ-
ხანაში ხელოვნურად გაკეთებულს
ყინულს.

როგორც ზამთარში ბალკონზედ
ჩამოეკიდება ყინული, სწორედ ამ-
გვარად იყო ერთ კლდეზედ, სორო-
ში, რამდენიმე ჩამოკიდებული. რომ
მივედით, ძალიან გაოფლიანებულები
ვიყავით. ჩავედით ერთ სოროში და
ისეთ ნაირად შევეცივდა, რომ ვე-
ლარა ვაწამეთრა, ათ მინუტს ვერ
შესძლებს ზოგი ერთი შიგ ყოფნას.
როცა ღრუბლიანი ან ცივი დარია,
მაშინ მხოლოდ სწვეთავს და არ ჰყი-
ნავს. რაც უნდა თფილი რამე ჩას-
დოთ, სოროში ხუთ წამში გააცივებს.
ჩვენც ვისარგებლეთ ამ ყინულით—



ცხებულა და ვინ არა—ჯერ არავინ იცის.

* *

მთი შეცდომა მოგვივიდა წარსულ ნომერში: „დღიურში“ დაბეჭდილი იყო, რომ ამ მოკლე ხანში სომხური სცენის მოყვარენი „უფსუნდუკიანცი კომედის — მელიზარის — წარმოდგენას აპირებენ.“ „მელიზარია“ სრულებით უფსუნდუკიანცი კომედია არ არის, ის არის ძველი ტრაგედია უფსუნდუკიანცი-საგან რუსულიდამ სომხურად ნათარგმნი.

„დროების“ კორექტორული

რაჭილამ, გორგობისთვის 15-ს

იმ აზრით, რომ ხალხში ცოტა წერა-კითხვა და განათლება გავრცელებულიყო და ხალხს გაეგო — თუ რასში მდგომარობს ქრისტიანი კაცის მოვალეობა, ამას წინეთ ყოველად სამღვდლო იმერეთის ეფესკოპოსმა ცირკულიარი გამოცა, რომლითაც ავტორიტეტით მღვდლებს ჯვარის დაწერა იმ შექმნიერად, თუ საცოლოდ და საქმროდ უმთავრესი ლოცვები არ იციან.

მა განკარგულება სწორეთ პატიოსანია და მოსაწონი; მაგრამ გამოჩნდნენ იმისთანა პირნი, რომელთაც ეს მშენებელი ჰაზრი ბოროტ-მოქმედებათ და მანებელად შესცვალეს.

ბოროტ მომხმარებელნი ამ განკარგულებისა, როგორც ნამდვილის დაკვირვებით დაერწმუნდი, ზოგიერთნი მღვდლები არიან.

მაგრამ, სანამ ამ მღვდლების მოქმედებას ავიწროდეთ, მსურს ორიოდე სიტყვით გაგაცნოთ რაჭის მახარის გლენ-კაცობა.

აღვლიის მღვდლბარობას და სიციწროვეს რაჭველები თითქმის მთელი საქართველოს ყველა დანარჩენ ხალხებზე უფრო მშრომელ ხალხთ გაუხდია. აქ, არა თუ კაცები, ქალებიც მომეტებული მშრომელნი არიან; ხშირად შეხედებით, რომ ქალი სოხნის, თესავს, მარგლის, პურს მკის და აკალოებს. თითქმის რომ მიდიოდეს ქალი დაბა მსში რისმეს გასასყიდათ ან საყიდლათ, სადაც პარასკეობით ბევრი დადიან, ხელში ხელ-საქმარი უყავია და აკეთებს.

მაცემმა თითქმის ყველამ იციან ხურობა (ხეტყის მუშაობა, ღურგლობა) და როგორც კი პურის და ღვინის მოწვევას გათავებენ, მაშინვე გაუდგებიან სხვა ქვეყნისაკენ სამუშაოთ და ფულის მოსაგებათ; ეს რომელიც ცოლ-შვილიანია. უცოლ-შვილო კი პატარაობიდან თფილისის და შუთისის გუბერნიის სხვა და სხვა ქვეყნებში გასწევს და იქ მუშაობს, სანამ ოცდა ხუთი ან ოცდა ათი წელი არ შეუხრულდება. შემდეგ კი, კვი გვარნიანი მოგებული ფულით, გამოუდგება გზას თავის სახლისაკენ იმ აზრით, რომ ოჯახობასა და ცოლ-შვილს მოეკიდოს.

დაბრუნდა უცოლო რაჭველი შინ დასაბინებლათ. შეუდგა ცოლის

შერთვას. რაჭველ გლენ-კაცობაში ჩვეულებათ არის, რომ სასიძომ ქალი უნდა დანიშნოს ჯერ და შემდეგ ერთის ან ნახევარის წლისა ჯვარი დაიწეროს; ჯვარის დაწერა და ცოლის შინ წყენა ერთია. ამასთან ისიც ჩვეულებაა, რომ სასიძომ დანიშნისათანავე ქალის დედ-მამას უნდა მისცეს ასი მანეთი ან მეტი ან ნაკლები, შეძლების დაგვარად. ამ ფულს „საძიძოს“ ეძახიან.

ბაიარა ამ დანიშნისდრომ და მოაწია ჯვარის-წერამ. წაიყენეს ქალი და კაცი ეკლესიაზე ჯვარის დაწერათ; მღვდელიც იქ ბრძანდება. მღვდელი ჰკითხავს მექორწინებს: იციან მათ საქმრო ლოცვები თუ არა? ს. ცოლო ეტყვის, რომ იმან არაფერი ლოცვა არ იცის, მას მხოლოდ სწამს ღმერთი, დადის ეკლესიაზედ, სადაც მღვდელი ლოცულობს და ის პირ-ჯვარს იწერს და ღმერთს ევედრება. მღვდელი ეტყვის: არა, ეგ საქმრო არ არის, ეხლა ახალი განკარგულებაა, რომ, თუ ესა და ეს ლოცვები არ იციან, ჯვარის დაწერა არ შეიძლება. ამ შემთხვევით საწყალი ჯვარ-საწერები და მათი წამყოლიც ისეთ განცვიფრებაში და ჯავრში ეარდებიან, რომ არ იციან რა შოაგვარონ.

ბოლოს არჩევენ, რომ ეგებ მღვდელმა იკადროს საგვირგინოზედ დაწესებული ფულის მომეტებული მიღება და დაგვეწეროს ჯვარი. ამ აზრით მიართმევენ მღვდელს ხუთ მანეთს, მაგრამ ის ხმ.საც არ გაცემს; შემდეგ კიდევ დაუმატებენ თითო მანეთობით ერთს თუმანადის და ხან ოცდა ხუთ მანეთამდისაც; მაშინ მღვდელი ეტყვის მათ, რომ თუ მაინცა და მაინც სურსთ საქმის გათავება, თუმანი საგვირგინო მისცის მას და ოცდა ათი მანეთი დასდენ საწინდრათ (გარაოთ) იმ პირობით, რომ ესენი ერთი თვის განმავლობაში ისწავლიან საქმრო ლოცვებს და მაშინ შეუძლიანთ ეს სამი თუმანი უკანვე წაიღონ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ფული ეკლესიის სასარგებლოთ შეირაცხება.

რა ქნას საწყალმა გლენმა? თუ არ გადაიხადოს ეს ფულები, ხომ ჯვარ-დაუწერელი დარჩა და ის ასი მანეთიც დაეკარგა, რომელიც ქალის დედ-მამისათვის მიუცია „სიძიძო“. აიღებ? გლენი, თუ აქვს, ორმოც მანეთს ოფლით ნაშოვარს, ან მამასისხლათ ნაფალევს და ჩაუთვლის მღვდელს ხელში; მღვდელი აიღებს ამ ფულს დასწერს ჯვარს და გაუშვებს.

ახალი სიძე, იმ აზრით, რომ ეს საწინდრის ფული არ დაეკარგოს, მაშინვე შეუდგება ლოცვების სწავლას. (რა კარგი დროა და!) ხან იმას სთხოვს და ხან ამას: მაწავლე ლოცვებო. მაგრამ ვინ არის მადლიანი, რომ მოეხმაროს; ვის სცალია მისთვის! ბოლოს ამ ხუცის დიაკვანს მოსძებნის და სთხოვს: თუ საქმრო ლოცვებს მაწავლე, ერთ თუმანს მოგცემო. დიაკვანი გამოართმევს ერთ თუმანს და დაუწყებს სწავლებას.

მთი თვის შემდეგ, გაიქცევა გლენი მღვდელთან და ეტყვის: ვისწავლე ლოცვები, ჩემი ფულები და მიბრუნეო. მღვდელი ეტყვის: — რამ გაგაგოქა, კაცო, მე ჩემი დღე მაგ ლოცვებს ვჭკიფებლობ და კიდევ ვერ დამისწავლიაო, და შენ ერთს თვეს როგორ დაისწავლიდიო! ამ სიტყვებით გაისტუმრებს შინისაკენ, ჩაუარა საწყალ გლენს ამ ხუთმა თუმანმა ასეუბრალოთ. მერე ნეტავი მღვდელი ეკლესიას მაინც მოახმარდის ამ ფულს! აქვე საქმროთ ვრაცხ ვრთქვა, რომ, არა თუ მარტო რაჭში, შუთისის გუბერნიის სხვა მახრებშიდაც მღვდლები ასე მოქმედებენ.

აქ კიდევ ვიმეორებ, რომ ასე იქცევიან მხოლოდ ზოგიერთი მღვდლები.

რუსეთი

პეტერბურში სდგება ახალი საზოგადოება, რომლის მიზანი იქნება, რომ სხვა და სხვა ფაბრიკებისა და მოხელეების მუშა-შაგირდებზედ იზრუნოს, დაიცვას ისინი კაპიტალისტების შევიწროებისაგან და ეცადოს, რომ სწავლა და თავის საქმის ხელშეწყობა ცოდნა გააფრცოლოს იმათში.

* *

მრთს მდიდარ პიეველ ვაჭარს ისეთი საავთმყოფოს გამართვა განუზრახავს თავის ხარჯით, სადაც ამ ქალაქის ღარიბ ხალხს მუქთად შეეძლებათ, ავთმყოფობის დროს, დაწოლა და რიგიანი მზრუნველობის მიღება.

* *

რუსულ გაზეთებში ერთი შესაძრწუნებელი ამბავია გამოცხადებული: ქალაქს პავლოგრადში (მკატერინოსლავის გუბერნიისაში) პოლიციის რადაც დანაშაულობისათვის ერთი ვილაც კაცი დაუტყუალბია. რამდენიმე დღის განმავლობაში ამ ტუსადისთვის არც საქმელი მიუკარებიათ არაფერი და არც სასმელი. ბოლოს იქამდი მისულა, რომ თავის დაღრჩობა მოუწოდებია; მაგრამ ამ დროს კარები გაუღიათ და როგორც იყო სიკვდილისაგან უპატივებიათ.

* *

სრულ-წლოვან ხალხში წერა-კითხვის გასაფრცოვებლად, პეტერბურლის სამასწავლებლო ინსტიტუტთან იხსნება საღამოობით ცალკე კლასები, სადაც ყველას შეუძლიან იაროს წერა-კითხვის სასწავლებლად. ამ საღამოს სწავლისათვის არავის არაფერი არ გადახდება.

უცხო ქვეყნები

გარსოზოვი. თითქმის ყველა გაზეთებში დაბეჭდილი იყო ამასწინათ, რომ პეტრიას ვანზრახვა აქესო, რომ ბერცოგოვინაში თავის ჯარები ჩააყენოსო და ამ ნაირად ერთის მხრით არეულობა მოსპოს

და მეორეს მხრით იძულებული გახდა მოსალო, რომ თავის შევიწროებული ხალხების კანონიერი მოთხოვნილება დააკმაყოფილოსო.

ამ ხმამ იმდენათ აღელვა ზოგიერთი სახელმწიფოები, რომ ინგლისის გაზეთებმა გამოაცხადეს, რომ, თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ჩვენი მმართველობა, თავის ინტერესების დასაცველად, სტამბოლს გაგზავნის თავის ხომალდებსაო. ზოგი კი იქამდინ მივიდა, რომ მეროპის ომიანობაზედაც დაიწყეს ლაპარაკი.

მაგრამ ახლა მენის გაზეთები თითქმის დარწმუნებით აცხადებენ, რომ ამ ხმას არავითარი საფუძველი არა აქვსო.

სერბია. უცხო ქვეყნის გაზეთები გვარწმუნებენ, რომ სერბიასა და ჩერნოგორიას მოლაპარაკება აქვე ერთმანეთში იმის თაობაზე, რომ, თუ ეინიცობაა, მოსალოსთან ბრძოლა ასტყდა, ერთად იყენენ, ერთად გაუწვიონ იმას წინააღმდეგობა. ამ პირობის ძალით, როგორც ამბობენ, სერბია ვალდებული იქნება, რომ ჩერნოგორიას ფულით დაეხმაროს და ჩერნოგორია თავის მხრით ჯარებს განოიყენოს საომრად. მომარობის გათავების შემდეგ კი, თუ გაიმარჯვებსო, ბოსნია სერბიას შეუერთდებაო და ბერცოგოვინა ჩერნოგორიასა.

— ამბობენ, სერბიამ ბარიბალდისთან კაცი გაგზავნა სათხოვნელად, რომ თუ ომი აგეიტყდა, ეინიცობაა, დაგვეხმარეთო.

საშრანგეთი. თფილისში მოსულნი დეპეშა გეაცნობებს, რომ ნაციონალურ პრეზას ერთხმად გადაუწყვეტა, რომ ეს პრეზა უნდა დიშალოსო და ახალი პრეზისა და სენატისთვის არჩევიანი მომავალი წლის ფებრუალში უნდა იქნესო.

— პრეზამ მიიღო არჩევიანის კანონი თითქმის შეუცვლელად.

ქრონიკა

შარსმანი I-ის მშობა

შემდეგ შარსმანს უნდოდა ალბანის დაპყრობა, მაგრამ რადგან იმისი შვილი, რადამისტი, დღითი დღე ძლიერდებოდა და ჰსურდა მამის ტახტიდგან გადმოგდება და თვით გამეფება, დაანება თავი ამ განზრახვას. იმან ისრე აჩვენა თავის შვილს რადამისტს თავი, ვითომც სრულიად არ იცის იმისი განზრახვა: მოუწოდა და უთხრა, რომ სომხეთი იმის ძმას მიტრიდატს არ ეკუთვნის, არამედ იმის მეფედ ის უნდა იყოსო. ამ მიზნისა გამო, რადგან უმიზნობად მიტრიდატის ტახტიდგან ჩამოგდება არ შეიძლებოდა, შარსმანმა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ მიტრიდატმა დაუშალა რომაელებს, რომ ისინი მოშეელებოდნენ იმას ალბანიელების დასაპყრობად. ამის შემდეგ უბრძანა თავის შვილს რადამისტს, რომ ამხედრებულ იყო სომხეთზე, გეგ

ლო იქიდგან მიტრიდატი და თე-
თონ გამეფებულიყო.

რადამისტის უეცრად თავს დასხ-
მისაგან შეშინებულმა მიტრიდატმა
დასტოვა ქალაქი და შევიდა ციხეში,
რომელსაც ერქო ზორნაფანი.

ამ ციხეში იდგნენ რომაელების
ჯარები და იმათ უფროსებად იყვნენ
სელია პოლიონი და ცენტურიონა
პასპერია. რადამისტი იმას გარს შე-
მოკრტყა და უნდოდა ძალად ხმლით
აეღო, მაგრამ წაუხდა ეს ფიქრი. ამი-
სათვის იმან მოისყიდა ციხეში მყო-
ფი რომაელები და იმათ ძალა დაატა-
ნეს მიტრიდატს, რომ ის გამოსუ-
ლიყო და მისცემოდა ხელში მტერს.

მიტრიდატი გამოვიდა და მიეცა
ხელში რადამისტის კეთილ-გონიერე-
ბასა და შებრალებას. იმათ ჯერ ერ-
თმანერთი მოიკითხეს, მერმე გადაე-
ხვიდნენ და აკოცეს. შემდეგ მოამზა-
დებინეს ტყეში მსხვერპლი და იქ
იმათ ერთმანერთისათვის უნდა შეე-
ფიცნათ, რომ ისინი მშვიდობიანად
იცხოვრებენ. მართველ ხალხს ამ
დროს ისრეთი ჩვეულება ჰქონდა,
რომ ყოველს მარჯვე ომის შემდეგ
გამარჯვებული მეფე და დამარცხე-
ბული შეიყრებოდნენ ტყეში მომ-
ზადებულ მსხვერპლის წინაშე; აქ
მხლებლები ცხენის ძუით შეუტყრი-
დნენ მეფეებს მარჯვენა ხელების
ცერს თითებს ისრე მაგრად, რომ
იქიდგან სისხლი გამოხეთქდა, მერ-
მე ორივე მეზავე პირნი ერთმა-
ნერთის თითებიდგან დაიწყებდნენ
პირით სისხლის წუწუნას. ამას რომ
გაათავებდნენ, მერმე სხვერპლს შეს-
წირავდნენ და ასრე გაათავებდნენ
დაზავებას. ეს ზავი ძალიან გული-
თადად ირაცხებოდა დაზავებულების
შორის; მაგრამ რადამისტმა რომ გა-
ათავა ეს წესი, უბრძანა თავის კა-
ციებს, შეაკრეფინა მიტრიდატი ჯა-
ჭით და ჩააგდო საყრობილეში;
მერმე დაატყინა იმისი ცოლ-შვილიც,
დააწვინეს ყველანი მიწაზე და ამო-
ხოცეს ბარგის ქვეშ.

სირიის მმართველმა შმიდა ქეა-
რატმა რომ შეიტყო ასრე უწყალოდ
და უღმერთოდ მიტრიდატის დამისი
ცოლ-შვილის ამოწყვეტა, ძალიან
ეწყინა და სთხოვა შარსმანს, რომ
გაეყვანა სომხეთიდან თავისი შვი-

ლი. შარსმანმა იმას ყური არ უგდო.
ამ დროს რადამისტმა დაიდგა თავ-
ზე სომხეთის სამეფო გვირგვინი.
ამის კურთხევაში დაესწრო ძაბადუ-
კისის მთავარი იული პელიგნუსი,
რომელიც მოვიდა რადამისტთან და
ურჩივა, რომ მეფედ კურთხებული-
ყო. ამ დროს ის მეფის მცველებში
ერია. ასრე გახდა რადამისტი სომ-
ხეთის მეფედ.

მაგრამ პართიის მეფემ პოლოგეზ-
მა ის არ მოასვენა: შეწყარა ჯარები,
რადამისტი გააგდო სომხეთიდან და
ჰსურდა თავის ძმის ტირიდატის გა-
მეფება, მაგრამ ზამთარი დიდი დად-
გა და ვერ აღისრულა თავისი გული-
თადი წადილი. ის რომ სომხეთიდან
გავიდა, რადამისტი მოვიდა ისევ
სომხეთში და ძალიან სასტიკად და-
საჯა სომხელები, რომ ისინი იმის მო-
ღალატენი არიან. ამისა გამო მოთ-
მინებიდგან გამოსული სომხელები გარს
შემოეხვიდნენ რადამისტის სასახლეს
და ჰლომოდით იმისი მოკვლა; მაგ-
რამ იმან აიყენა თავისი ცოლი ზი-
ნობია და საჩქაროდ გამოემგზავრა
საქართველოსკენ. ძალიან ჩქარის
სიარულისა გამო იმისი ორსული
ცოლი შეწუხდა და აღარ შეეძლო
მგზავრობა. რადამისტი შეშინდა, რომ
ცოლით ცოცხალი არ ჩაუვარდეთ
სომხებს ხელში, ჩაჰკრა თავისივე ხე-
ლით იმას მკერდში ხანჯალი, გადა-
აგდო არაქრის მდინარეში და თეი-
თონ გამოექანა საქართველოში.

რადამისტი დღის შემდეგ ის იპო-
ვეს მემკვთარებმა ცივის წყლისა
გამო გრძნობაზე მოსული და მოი-
ყვანეს მეფე შარსმანის სასახლეში.

ამის შემდეგ იმპერატორმა ნერო-
ნმა ტირიდატი დაამტკიცა სომხეთის
ტახტზე. ამ დროს შარსმანმა მოჰ-
კლა თავისი შვილი რადამისტი, რად-
გან ეშინოდა, რომ მიღალატებდა
და ამით გაიგო ნერონის გულიცა.
ამისათვის ნერონმა იმას მისცა რა-
მოდენიმე ნაწილი სომხეთისა.

ამ ისტორიული შემთხვევებით
ისარგებლა საფრანგეთის მწერალმა
პრევილონმა და დასწერა ტრადედია
სახელად „რადამისტი“.

შვილის სიკვდილის შემდეგ შარ-
სმანი გაარხინდა და დაიწყო თავის

სამეფოს კეთილ-დღეობაზე ზრუნვა.
იმან წინანდელზე უფრო გააძლია
მცხეთა და სიკვდილამდე იმეფა მშვი-
დობიანად. ის მოკვდა 60 წელს შრ.
დაბ. შემდეგ; მაგრამ ძალიან ცუდი
ჰქმნა, რომ სიკვდილის წინად თავი-
სი შვილი ბარტომი მე-II და მარ-
თამი მე-II ორივენი მცხეთაში მე-
ფედ დასვა.

ინგილო ჯანაშვილი

განსხვავება

მე თუქცა დღემდისინაც მქონდა
ქართული წიგნები და ვაერ-
ცელებდი შორაპნის უეზდში,
მაგრამ დღეს იმდენი მოთხოვნილე-
ბა არის ქართული წიგნებისა. რომ
არ შეიძლება ყველა მოთხოვნილე-
ბი დამეკმაყოფილება. თუმცა მო-
აქვს ქალაქიდან სხვა და სხვა პი-
რებს წიგნები და ჰყიდიან აქ-იქ
სოფლებში, მაგრამ ერთობ ძვირად
და უსინდისოთ. ამისათვის მე დღეს
შემდეგ მსურს მოვიპოვო ყოველ-
გვარი წიგნები ნამეტურ ქართული
და მასთან რუსული წიგნებიც და
ქართული საეკლესიოც, რომელ-
ნიც ჩემგან გაიყიდებიან იმ ფასად
რაც ფასი თვითონ ქალა-
ქის წიგნების მაღაზიებში
იქნება მათზე დადებული.

ზანეცხადებ რა ამას, ესთხოვე ქარ-
თული წიგნების მაღაზიების პატრო-
ნებს გამომიგზავნონ, მათი წიგნების
კატალოგი და დაიჭირონ ჩემთან სა-
ქმე და საზოგადოებას შორაპნის
უეზდში შეუძლიანთ ჩემგან იყი-
დონ ყოველ გვარი ქართული წი-
გნები იმ ფასად, რაც ფასი მათზე
იქმნება დადებული გამამკემლებთა-
გან.

მღვდელი დავით დამბაშიძე.

იმავედგა და მცირე ხანში გამო-
ვა ბეჭდილამ „სახელმძღვანელო
წიგნი სოფლის მღვდელმთავრის
შესრულების დროს მათგან საიდუ-
მლო ქორწინებისა და ნათლის ღე-
ბისა. დამატებითა სხვა და სხვა მღვ-
დლისაგან მისაცემი მოწმობების, სა-
ეკლესიო საბუთების, წარმოების

ფორმებითა და ასოებზე დაწერილი
ყველა წმიდანების სახელობითა მათ
სქესისა ცალკე და მღვდლისა ცალ-
კე, ჩვენებითა მათი დღესასწაულო-
ბის დროთა.

სარგებლოდ და საჭიროდ იცნო ყვე-
ლა მღვდლებთათვის მრთელი საქარ-
თველო საექსარხოლოში.

შედგენილი მღვდლის დავით
დამბაშიძისაგან.

ეს წიგნი განიხილა უწყინდესის
და უმართებულესის სინოდის საქარ-
თველო იმერეთის კანტორამ და სა

ისჯილება

ძალანდაძის და მართანოვის წიგ-
ნის მაღაზიაში ქუეყის ხიდზე პ. შმი-
კაშვილის გამოცემანი:

გრიგოლ ორბე- ლიანის ლექსები

შასი ათი შაური

სიბრძნე სისრუ- ის წიგნი

თქმული

საბა ორბელიანისაგან

შასი ათი შაური

მრთს ნემეცის ძალს ჰსურს აი-
ყვანოს ახალგაზდა შაგირდები ნე-
მეცურისა და ფრანცუზულ-
ი ენის სასწავლებელად.

შაგირდები ივლიან ამ ქალთან
ყოველ დღე დილიდამ შუადღემდი
ანუ ნასადილევიდამ საღამომდი.

შეუძლიან აგრეთვე უროკებზე
თვითონაც იაროს.

შასი: თითო შაგირდისათვის თვე-
ში ხუთი მანეთი.

მსურველთ შეუძლიანთ შემდეგის
აღრესით მიმართონ: თფილისში, ან-
ჩის ხატის უბანში, ბრძელის სახლებ-
ში და აგრეთვე „დროების“ რედაქ-
ციაში. (3-2)

დაიბეჭდა და ისყიდება
თამარ სამართველოს
ბატონისშვილის

ისტორიული რომანი
მ. რჩეულოვისა.

თფილისში: მელიქიშვილის და
ახ. სტამბაში და მნფთაჯანის
წიგნის მაღაზიაში.

შასი ყველგან ექვსი შაური.

რ.პ. ზვ.ა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გემები	შოშბა	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
თფილისი	9 36	4 54			ა) შოთილდამ:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 19 გიორგ.		თფილისი, 22 გიორგ.	
მცხეთა			68	38	მდისისკენ — ხუთშაბ. შუადღეზე.	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს				
ბორი	12 21	8 41	2 40	1 23	სტამბოლს — კვირაობით დილას.	ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.				
ხ. შური	2	11 10	3 92	2 18	ბ) სოხუმიდამ:	ოთხშ., მსურგეთს — პარასკ. და				
ბეჟათუბანი			4 42	2 46	შოთს — ოთხშაბათს, დილით.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და				
შვირილა			5 81	3 23	მდესას — ოთხშაბათს, შუადღეზე.	შაბ. მახეთს — სამშ. და შაბ.				
მუთაისი	8 23		6 75	3 75	შოთილდამ: I II III	ბ) მუთაისი დამ:				
სამტრედია			7 73	4 29	სოხუმამდი . 4 3 1	თფილისისა და შოთისაკენ — ყო-				
ახ. სენაკი			8 57	4 76	მერჩამდი . 20 50 15 50 5	ველ დღე, კვირას გარდა. მსურ-				
შოთი	11 44		9 75	5 42	ტაგანროგ . 34 27 8 60	გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს				
					მდესამდი . 38 30 9 60	— ოთხშაბ.				
შოთი	8 40				ბ) გორი დამ.	შოველგან ყოველ დღე, კვირას				
ახ. სენაკი			1 18	66	ბ) შოთი დამ:	გარდა.				
სამტრედია			2 61	14	შოველგან ყოველ დღე, კვი-					
მუთაისი	11 51		3 41	69	რას გარდა.					
შვირილა			3 98	21	ა) შოთი დამ:					
ბეჟათუბანი			5 33	2 96	შოველგან ყოველ დღე, კვი-					
ხ. შური	5 41	1 65	8 43	24	რას გარდა.					
ბორი	7 23	3 67	3 64	9	წიგნის გაგზავნა რუსეთში					
მცხეთა			9 85	4	და სამზღვარ გარეთ:					
თფილისი	10 16	7 24	9 75	5 42	ლია წიგნის 4					
					დამეჭვილის (სამი მისხალი) . 8					